



ევროკავშირი
საქართველოსთვის
ENPARD



ქედა ლიდერი

ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი რესურსებისა და პოტენციალის
ოპტიმალური გამოყენება სოფლის განვითარებისათვის

საგრანტო სახელმძღვანელო

2019 წელი

შინაარსი

1. პროგრამის შესახებ.....	3
2. საინფორმაციო კამპანია	3
3. კონკურსში მონაწილეობა	4
4. საგრანტო დაფინანსების შესაძლებლობა და ოდენობა.....	5
5. საგრანტო კონკურსის ეტაპები, ვადები და განაცხადების შერჩევა/შეფასება.....	6
6. განაცხადების ფინანსურ-ადმინისტრაციული შემოწმება, შერჩევის და შეფასების პროცესი	8
7. ფინანსურ-ადმინისტრაციული შემოწმება.....	8
8. შეფასების პროცესი	8
9. განცხადებებისა და საჩივრების კომისია.....	9
10. ინტერესთა კონფლიქტი, ხელშეკრულება და შესყიდვები.....	9
11. მონიტორინგი, განხილვა და შეფასება.....	10

1. პროგრამის შესახებ

„ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი რესურსებისა და პოტენციალის ოპტიმალური გამოყენება სოფლის განვითარებისათვის“ პროექტის მიზანია ადგილობრივი ეკონომიკური საქმიანობების დივერსიფიკაცია, ინვესტიციების მოზიდვა და კონკურენტული სასოფლო-სამეურნეო და გარემოსდაცვითი პრაქტიკის ხელშეწყობა სოფლის განვითარების თანამონაწილეობრივი, სტრატეგიული დაგეგმვის გზით. პროექტის ამოცანაა ქედის მუნიციპალიტეტის განვითარების პოტენციალის გაძლიერება და ადგილობრივი შესაძლებლობებისა და რესურსების ოპტიმალური გამოყენება.

პროექტს ახორციელებს CENN - კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი, დემოკრატიის ინსტიტუტი (IoD), საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG), ავსტრიის რეგიონული კვლევებისა და სივრცითი დაგეგმარების ინსტიტუტი (ÖIR) - ქედის ადგილობრივი განვითარების ჯგუფთან ერთად (LAG).

„ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი რესურსებისა და პოტენციალის ოპტიმალური გამოყენება სოფლის განვითარებისათვის“ პროექტის ფარგლებში CENN - კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი, დემოკრატიის ინსტიტუტი (IoD), ქედის განვითარების ჯგუფთან ერთად აცხადებს 2019-2020 წლის საგრანტო კონკურსს.

საგრანტო კონკურსის მიზანი

საგრანტო კონკურსის მიზანია, პროგრამის „ადგილობრივი პოტენციალის ოპტიმიზაცია სოფლის განვითარებისთვის ქედის მუნიციპალიტეტში“ და ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის პრიორიტეტების შესაბამისად, ქედის ადგილობრივი თემების კეთილდღეობის და ყოფითი პირობების გაუჯობესება, სოფლად ეკონომიკური შესაძლებლობების გაძლიერება და ინოვაციური პროექტების განხორციელება.

საგრანტო კონკურსის პრიორიტეტული მიმართულებებია:

1. სოფლის მეურნეობა, როგორც პირველადი პროდუქციის წარმოება, ასევე ადგილობრივი პროდუქციის გადამამუშავება და რეგიონული ღირებულებათა ჯაჭვის განვითარება;
2. ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა;
3. არასასოფლო სამეურნეო ეკონომიკური საქმიანობა;
4. განათლება, კულტურა, სპორტი;
5. გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მართვა;
6. სოციალური-არაკომერციული საქმიანობა (კომუნალური და სოციალური ინფრასტრუქტურა).

შენიშვნა:

საოჯახო ტიპის სასტუმროს ან/და მარნების მოწყობა დაფინანსდება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში;

2. საინფორმაციო კამპანია

საგრანტო კონკურსის გამოცხადებისთანავე, CENN - კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი, დემოკრატიის ინსტიტუტი (IoD), ქედის ადგილობრივი განვითარების ჯგუფი (LAG) საგრანტო კონკურსის შესახებ ინფორმაციის მაქსიმალურად გავრცელების მიზნით იწყებს საინფორმაციო კამპანიას. საინფორმაციო

კამპანია წარიმართება ქედის ათივე ადმინისტრაციულ ერთეულში, მოსახლეობასთან უშუალო შეხვედრების მიზნით, წინასწარ შემუშავებული განრიგის შესაბამისად. შეხვედრის მიზანია ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის პრიორიტეტების კიდევ ერთხელ მიმოხილვა და საგრანტო კონკურსის პირობების გაცნობა. ინფორმაციის ხელმისაწვდომობის და ეფექტური გავრცელებისათვის დამატებით გამოყენებული იქნება შემდეგი საშუალებები:

1. ქედის ადგილობრივი განვითარების ჯგუფის ოფიციალურ ვებ გვერდზე და ფეისბუქზე განთავსდება საგრანტო კონკურსის შესახებ ინფორმაცია, ასევე „ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი განვითარების სტრატეგია“.
2. საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში და საზოგადოებრივ ტრანსპორტში გავრცელდება საინფორმაციო ლიფლეტები.

საგრანტო კონკურსთან დაკავშირებულ საკითხებზე დეტალური ინფორმაციის მიღების მიზნით, მათ შორის საგრანტო განაცხადის ფორმების შევსების და წარდგენის პროცედურებზე ჩატარდება ღია კარის დღეები/კონსულტაციები. შესაბამისი სახელმძღვანელო და ფორმები გამოქვეყნდება LAG-ის ვებ-გვერდზე - www.kedalag.ge

3. კონკურსში მონაწილეობა

საგრანტო კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს შემდეგ სუბიექტებს:

საგრანტო კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს შემდეგ სუბიექტებს:

1. საქართველოს ან/და უცხო ქვეყნის სრულწლოვანი მოქალაქე;
2. საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირები (შპს, სპს, სს და ა.შ.);
3. რეგისტრირებული სტატუსის მქონე სასოფლო კოოპერატივები;
4. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები (არასამთავრობო ორგანიზაცია, ასოციაცია, ფონდი და ა.შ.);
5. ქედის მუნიციპალიტეტის თვითმართველობის საჯარო სამართლის იურიდიული პირები;
6. ქედის მუნიციპალიტეტში არსებული კულტურულ/საგანმანათლებლო ორგანიზაციები;
7. საინიციატივო ჯგუფები.

კონკურსში მონაწილეობის უფლება არ აქვს:

1. პოლიტიკურ პარტიებს;
2. რელიგიურ ორგანიზაციებს;
3. ფინანსურ ინსტიტუტებს (ბანკი; მიკროსაფინანსო, ლომბარდი და ა.შ.).
4. ორგანიზაციებს, კავშირებს, გაერთიანებებს, საინიციატივო ჯგუფებს და ა.შ. რომლებიც სქესის, რელიგიური შეხედულებების, ეთნიკური წარმომავლობის და სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე ახდენენ ფიზიკური პირების ან/და კონკრეტული ჯგუფების დისკრიმინაციას.

გარდა ზემოაღნიშნულისა, კონკურსში მონაწილეობა არ განიხილება აპლიკანტებისათვის, რომლებსაც:

- შემოთავაზებული ობიექტი (მიწა, შენობა-ნაგებობა და სხვ.), სადაც დაგეგმილია პროექტის განხორციელება დატვირთულია იპოთეკით, გირავნობით, ყადაღით
- გრანტით განსახორციელებელი ობიექტი (მიწა, შენობა-ნაგებობა და სხვ.) არ არის აპლიკანტის საკუთრებაში.

4. საგრანტო დაფინანსების შესაძლებლობა და ოდენობა

კონკურსის შედეგად საგრანტო განაცხადების თანხობრივი მხარდაჭერა გამოყენებული იქნება ორი მიმართულებით: კომერციული და სოციალური პროექტების მხარდასაჭერად.

დაფინანსების მინიმალური ოდენობა შეადგენს 1,000 ლარს, მაქსიმალური - 180,000 ლარს. განმცხადებლებს მოეთხოვებათ მხოლოდ ფულადი თანამონაწილეობა და თანამონაწილეობის მოცულობა დამოკიდებული იქნება განმცხადებლის პროექტის სპეციფიკასა და გრანტის მოცულობაზე შემდეგნაირად:

საგრანტო დაფინანსების ოდენობა **კომერციული პროექტებისათვის:**

- 1,000-და 10,000 ლარამდე, პროექტის საერთო ბიუჯეტის მინიმუმ 15% თანადაფინანსებით.
- 10,000-და 20,000 ლარამდე, პროექტის საერთო ბიუჯეტის მინიმუმ 20% თანადაფინანსებით.
- 20,000-დან 60,000 ლარამდე პროექტის საერთო ბიუჯეტის მინიმუმ 30% თანადაფინანსებით.
- 60,000-დან 120,000 ლარამდე პროექტის საერთო ბიუჯეტის მინიმუმ 35% თანადაფინანსებით.
- 120,000-დან 180,000 ლარამდე პროექტის საერთო ბიუჯეტის მინიმუმ 40% თანადაფინანსებით.

კომერციული პროექტებისათვის განმცხადებელმა კომისიის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში უნდა წარმოადგინოს პროექტში მითითებული ობიექტისათვის საკუთრების უფლების რეგისტრაციის დოკუმენტი ან გრძელვადიანი იჯარა (მინიმუმ 15 წელი).

საგრანტო დაფინანსების ოდენობა **სოციალური პროექტებისათვის:**

- კულტურული, საგანმანათლებლო, სოციალური პროექტები, რომლებიც განხორციელდება არაკომერციული (არასამეწამეო) იურიდიული პირის, კულტურულ/საგანმანათლებლო დაწესებულების და საინიციატივო ჯგუფების მიერ:
 - 1,000-დან 30,000 ლარამდე, პროექტის საერთო ბიუჯეტის მინიმუმ 10% თანადაფინანსებით.
 - 30,000-დან 60,000 ლარამდე პროექტის საერთო ბიუჯეტის მინიმუმ 20% თანადაფინანსებით.
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, სახელმწიფო სსიპ-ები, სახელმწიფო შპს-ები - პროექტის საერთო ბიუჯეტის მინიმუმ 40% თანადაფინანსებით.
- ქედის მუნიციპალიტეტში არსებულ საჯარო სკოლებისა და ბაგა-ბაღების პროექტებისთვის საერთო ბიუჯეტის მინიმუმ 10% თანადაფინანსებით.

საგრანტო დაფინანსების ოდენობა 120,000 დან - 180,000 ლარამდე, გაიცემა მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში და დაფინანსებით უნდა იქნას მიღწეული შედეგი ქედის განვითარების სტრატეგიის მინიმუმ 3 პრიორიტეტულ მიმართულებაზე.

პროექტის ბიუჯეტის თანამონაწილეობის პროცენტის გამოთვლის ფორმულის მაგალითი.

- A. პროექტის საერთო ღირებულება 35,000 ლარი.
- B. თანამონაწილეობა 30%.
- C. განმცხადებლის კონტრიბუცია 10,500 ლარი ($A*B = 10,500$).
- D. საგრანტო ფონდიდან მოთხოვნილი თანხა 24,750 ლარი ($A-C=24,500$)

თანადაფინანსებად ჩაითვლება მხოლოდ თანობრივი მონაწილეობა. ბენეფიციარმა უნდა გახსნას ცალკე საბანკო ანგარიში საგრანტო პროექტის განხორციელებისათვის. პროექტის განხორციელების პროცესში ნებისმიერი თანხის გადახდა აუცილებლად უნდა მოხდეს საბანკო გადარიცხვის საშუალებით, რომელიც განხორციელდება ბენეფიციარის მიერ შექმნილი ზემოთ მოხსენიებული ანგარიშიდან.

გამარჯვებული საგრანტო პროექტების განხორციელების ეტაპზე, გრანტის ბენეფიციარებმა შესყიდვები უნდა განახორციელონ ევროკავშირის ან სენის შესყიდვების რეგულაციების დაცვით.

დონორი ორგანიზაცია იტოვებს უფლებას გამარჯვებული პროექტების განხორციელების ეტაპზე, ხარჯთ-ეფექტურობის მაქსიმიზაციის და ოპტიმიზაციის მიზნით შეისყიდოს და გადასცეს ძირითადი საშუალებები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ბენეფიციარს.

საგრანტო რესურსით არ ფინანსდება შემდეგი ხარჯები:

1. ხელფასები (გამონაკლის შემთხვევაში შესაძლოა დაფინანსდეს ექსპერტის/სპეციალისტის ჰონორარი) და მიმდინარე ხარჯები;
2. მსხვილფეხა და წვრილფეხა რქოსანი პირუტყვის, შინაური ფრინველების, ფუტკრის ოჯახების შექმნა;
3. უძრავი ქონების შექმნა;
4. სემინარებში, სამუშაო შეხვედრებში და კონფერენციებში ინდივიდუალური მონაწილეობა;
5. კვლევების ან ტრენინგების ინდივიდუალური დაფინანსება გარდა იმ შემთხვევებისა როცა ის წარმოადგენს ძირითადი საქმიანობის შემადგენელ კომპონენტს;
6. აკადემიური და სამეცნიერო კვლევები;
7. სასწავლო/სამეცნიერო გრანტები;
8. ჰუმანიტარული აქციები და საქმიანობა;
9. ვალები და მომავალი შესაძლო ზარალისათვის გათვალისწინებული ხარჯები;
10. გადასახდელი პროცენტები, საურავები, ჯარიმები;
11. ზარალი, გამოწვეული სავალუტო კონვერტაციის შედეგად;
12. მესამე მხარისათვის გაცემული სესხები;
13. სადაზღვევო ხარჯები;
14. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით აკრძალული საქმიანობები.

5. საგრანტო კონკურსის ეტაპები, ვადები და განაცხადების შერჩევა/შეფასება

საგრანტო კონკურსი შედგება შემდეგი ეტაპებისგან:

I ეტაპი -საგრანტო განაცხადის წარდგენა;

II ეტაპი - გასაუბრება/მონიტორინგი;

III ეტაპი - საგრანტო განაცხადის დამტკიცება/კონტრაქტის გაფორმება;

საგრანტო კონკურსში განმცხადებელს შეუძლია მხოლოდ ერთი განაცხადის წარდგენა.

განაცხადების წარმოდგენა შესაძლებელია მხოლოდ ქართულ ენაზე. განაცხადზე თანდართულ უცხოენოვან დოკუმენტაციას უნდა ახლდეს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

I ეტაპი - საგრანტო განაცხადის წარდგენა

განაცხადის წარდგენა შესაძლებელია ორი ფორმით: ელექტრონული და მატერიალური (ნაბეჭდი) ფორმით.

ელექტრონული ფორმით განაცხადები მიიღება ხელმოწერილი ან/და არსებობის შემთხვევაში ბეჭდით დამოწმებული. ელექტრონულად განაცხადის წარდგენა შესაძლებელია ქედის ადგილობრივი განვითარების ჯგუფის ელ. ფოსტაზე grant@kedalag.ge, ასევე CD-ს ან მესხიერების ბარათის მეშვეობით ოფისში წარმოდგენა. ელ. ფოსტაზე განაცხადის წარდგენისას აუცილებელია განმცხადებელმა თემის ველში მიეთითოს „საგრანტო კონკურსი 2019-2020“. განაცხადის ამ ფორმით წარდგენის შემთხვევაში განმცხადებელი ღებულობს განაცხადის წარდგენის დასტურს. ელ. ფოსტის მეშვეობით განაცხადის წარმოდგენა შესაძლებელია მხოლოდ ერთი საფოსტო გზავნილით.

მატერიალური ფორმით განაცხადის წარდგენა შესაძლებელია ქედის ადგილობრივი განვითარების ჯგუფის ოფისში შემდეგ მისამართზე: დაბა ქედა, ტბელ აბუსერიძის #10. მატერიალურად განაცხადი წარდგენილი უნდა იქნეს დალუქულ კონვერტში. კონვერტზე აუცილებლად უნდა მიეთითოს განმცხადებლის ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია. განაცხადის მატერიალური ფორმით წარდგენის შემთხვევაში განმცხადებელს გადაეცემა განაცხადის რეგისტრაციის ბარათი.

განაცხადის ფორმების შევსების და წარდგენასთან დაკავშირებით ტექნიკურ საკითხებზე დაინტერესებულ პირებს კონსულტაციები გაეწევათ განაცხადის წარდგენის ვადის ამოწურვამდე ქედის ადგილობრივი განვითარების ჯგუფის ოფისში.

საგრანტო განაცხადის ფორმები განთავსდება ქედის ადგილობრივი განვითარების ჯგუფის ოფიციალურ ვებ.გვერდზე www.kedalag.ge

განაცხადის წარდგენის ბოლო ვადაა 2019 წლის 16 დეკემბერი 17:00 საათი.

II ეტაპი - გასაუბრება/მონიტორინგი

ქედის ადგილობრივი განვითარების ჯგუფის საგრანტო კომისიის მიერ შერჩეული პროექტების დეტალური შესწავლის მიზნით კომისია განმცხადებლებთან გამართავს გასაუბრებას და მონიტორინგს.

III ეტაპი - საგრანტო განაცხადის დამტკიცება/კონტრაქტის გაფორმება;

პროექტები, რომლებიც დადებით შეფასებას მიიღებს და წარმატებით გაივლის გასაუბრებისა და მონიტორინგის ეტაპს საგრანტო განაცხადი დამტკიცებულად ჩაითვლება და გაუფორმდება საგრანტო კონტრაქტი.

ვადაგადაცილებით წარმოდგენილი ან/და ხელით შევსებული განაცხადები არ მიიღება.

6. განაცხადების ფინანსურ-ადმინისტრაციული შემოწმება, შერჩევის და შეფასების პროცესი

განაცხადების ფინანსურ-ადმინისტრაციულ შემოწმებას, შერჩევას და შეფასებას ახდენს საგრანტო კომისია, რომელიც იქმნება CENN-ის, დემოკრატიის ინსტიტუტის, ქედის ადგილობრივი განვითარების ჯგუფის მმართველი საბჭოს მიერ ერთობლივად.

7. ფინანსურ-ადმინისტრაციული შემოწმება

საგრანტო განაცხადის შერჩევის და შეფასების პროცესის დაწყებამდე გაივლის ფინანსურ-ადმინისტრაციულ შემოწმებას (წარმოდგენის ვადა, განაცხადის ფორმა, განმცხადებლის რეკვიზიტები, დანართების სიზუსტე, ბიუჯეტის რელევანტურობა და ა.შ.).

ფინანსურ-ადმინისტრაციული შემოწმების ეტაპზე აღმოჩენილი ხარვეზის(ების) არსებობის შემთხვევაში, განმცხადებელს ხარვეზების აღმოსაფხვრელად კომისია განუსაზღვრავს გონივრულ ვადას. გონივრული ვადის გასვლის შემდგომ, თუ ხარვეზი არ აღმოიფხვრა საგრანტო განაცხადი მოიხსნება კონკურსიდან.

8. შეფასების პროცესი

საგრანტო განაცხადის წარდგენის ვადის ამოწურვისთანავე საგრანტო კომისია იწყებს საგრანტო განაცხადების ფინანსურ-ადმინისტრაციული შემოწმებისა და შეფასების პროცესს. საგრანტო განაცხადების შეფასება ხორციელდება საგრანტო კომისიის წევრების მიერ ინდივიდუალურად, ქედის ადგილობრივი განვითარების ჯგუფის მმართველი საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმით.

განაცხადის შეფასება განხორციელდება შემდეგი ძირითადი კრიტერიუმებით:

1. საგრანტო განაცხადით წარმოდგენილი იდეის კავშირი ქედის განვითარების სტრატეგიის პრიორიტეტებთან;
2. იდეის, პრობლემის აღწერა. რამდენად აქტუალურია წარმოდგენილი იდეა/პრობლემა მიზნობრივი ადგილმდებარეობისთვის, პროექტი უნდა განხორციელდეს ქედის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში.
3. განმცხადებლის სტატუსი - განმცხადებლის სტატუსი უნდა შეესაბამებოდეს კონკურსში მონაწილეობის უფლების მქონე სუბიექტების სტატუსს.
4. განმცხადებლის ცოდნა ან/და გამოცდილება წარმოდგენილი პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით;
5. ხელშემწყობი წინაპირობები, პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული გარემო ფაქტორები და რესურსები (ადამიანური, ტექნიკური და ა.შ.);
6. პროექტის განხორციელების მიდგომები. პროექტის განხორციელებისათვის დაგეგმილი აქტივობები;
7. პროექტის ფინანსური დაგეგმარება (ლოგიკური ბიუჯეტი - ხარჯების რეალისტური გათვლა);
8. პროექტის განხორციელების რისკები და მათი შემცირების გზები;
9. მარკეტინგი (კონკურენცია, პროდუქციის/მომსახურების სარეალიზაციო გარემო, მომხმარებლები, სტრატეგია);
10. პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი, პროექტის განხორციელების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს.
11. პროექტის განხორციელებით მიღებული შედეგები;

12. პროექტის სიცოცხლისუნარიანობა;
13. დასაქმება;

შენიშვნა: კომერციული პროექტის განმცხადებელი შესაძლებელია იყოს ფიზიკური პირი ან პირთა ჯგუფი, თუმცა, განაცხადით უნდა გაითვალისწინოს ინდ. მეწარმის ან იურიდიული პირის დაფუძნება და ამავდროულად უნდა დააკმაყოფილოს ქედის განვითარების სტრატეგიის ერთი ან რამდენიმე პრიორიტეტული მიმართულება. ამ შემთხვევაში წარმოდგენილი განაცხადი განიხილება და დადებითი შედეგის დადგომისას მოეთხოვება იურიდიული პირის დაფუძნება.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმების გათვალისწინებით, შერჩევის შედეგები ეცნობება განმცხადებლებს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი შედეგის შემთხვევაში. უარყოფითი შედეგის შემთხვევაში, წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე განმცხადებელს მიეცემა წერილობითი პასუხი უარის თქმის მიზეზების შესახებ.

საგრანტო განაცხადების შეფასების პროცესში დამატებითი 10 ქულა მიენიჭება შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:

1. პროექტის განხორციელება დაკავშირებულია თანამედროვე ტექნოლოგიებსა და ინოვაციებთან;
2. ქალების, ახალგაზრდების და შშმ პირების ჩართულობა პროექტის განხორციელებაში;
3. გარემოზე დადებითი შედეგი (მეთოდოლოგიისა და ტექნოლოგიების გამოყენება, რომელიც ამცირებს გარემოზე უარყოფით ზემოქმედებას);

განაცხადის შეფასების პროცესში საგრანტო კომისია უფლებამოსილია განაცხადში მოყვანილი გარემოებების გადამოწმების მიზნით მოთხოვოს განმცხადებელს დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა ან/და განმარტებები კონკრეტულ საკითხზე, ასევე ფაქტებისა და გარემოებების ადგილზე გადამოწმება. აღნიშნულ პროცესს კომისია ახორციელებს LAG კოორდინატორის და მონიტორინგის კომისიის მეშვეობით, რომელიც იქმნება ქედის ადგილობრივი განვითარების ჯგუფის მმართველი საბჭოს მიერ, მინიმუმ 4 წევრის შემადგენლობით.

კონკრეტულ განაცხადზე კომისიის წევრების მიერ გაკეთებული ინდივიდუალური შეფასების ქულები ჯამდება და გამოითვლება საშუალო არითმეტიკული ციფრი, რაც წარმოადგენს კონკრეტული საგრანტო განაცხადის შეფასების საბოლოო ქულას.

9. განცხადებებისა და საჩივრების კომისია

საგრანტო კონკურსის ფარგლებში, საგრანტო პროცესთან დაკავშირებული განცხადებების და საჩივრების განხილვის მიზნით ქედის ადგილობრივი განვითარების ჯგუფის მმართველი საბჭოს მიერ შექმნილია განცხადებებისა და საჩივრების კომისია.

განცხადებებისა და საჩივრების კომისია, თავისი კომპეტენციის ფარგლებში განცხადების ან საჩივრის დარეგისტრირებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში შეისწავლის საჩივარში არსებულ გარემოებებს და თავისი გადაწყვეტილების შესახებ, შემდგომი რეაგირებისათვის წერილობით აცნობებს ქედის ადგილობრივი განვითარების ჯგუფის მმართველი საბჭოს თავმჯდომარეს. კომისიის მისამართი: დაბა ქედა, ტბელ აბუსერიძის 10.

10. ინტერესთა კონფლიქტი, ხელშეკრულება და შესყიდვები

შერჩევის შემდეგ პროექტის განაცხადები საბოლოო განხილვისთვის წარედგინება CENN-ს პასუხისმგებელი პირის მიერ. იმ შემთხვევაში, თუ ამ ეტაპზე CENN აღმოაჩენს შეთანხმებული პროცედურებისგან რამე გადაცდომას ან ინტერესთა კონფლიქტს, ის უფლებამოსილია,

შეაჩეროს გრანტის ხელშეკრულების ხელმოწერა. თუკი განაცხადი და მასთან არსებული ყველა წარმოდგენილი დოკუმენტები სრულ წესრიგშია, წარმატებული განმცხადებელი ხელს მოაწერს გრანტის ხელშეკრულებას CENN-თან. ხელშეკრულებაში დეტალურად იქნება გაწერილი ორივე მხარის როლები და პასუხისმგებლობები პროექტის განხორციელებასა და დაფინანსებაზე, ასევე, შეთანხმების პირობებზე. გრანტის ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ განმცხადებელი და/ან მესამე პირი თანამონაწილეობით განსაზღვრულ თანხას - თანადაფინანსებას გადარიცხავს მის მიერ საგრანტო პროექტისათვის შექმნილ ანგარიშზე, როგორც აღწერილია თანადაფინანსების განხილვაში ზემოთ, ამ თანადაფინანსების სახსრები საგრანტო ფონდთან ერთად გამოყენებულ იქნება განმცხადებლის ბიუჯეტში ჩამოთვლილი ნივთების შესასყიდად. ყველა შესყიდვა განხორციელდება განმცხადებლის სახელით შესაბამისი შესყიდვის პროცედურების წესების დაცვით, რომელიც წინასწარ იქნება შეთანხმებული. პროექტის დასრულებისას, ყველა აქტივი გადაეცემა განმცხადებელს, რომელიც პასუხისმგებელი იქნება მათ შემდგომ გამოყენებასა და მოვლა-პატრონობაზე.

11. მონიტორინგი, განხილვა და შეფასება

პროექტის მიმდინარეობისას ყველა სამართლებრივი და ფინანსური დოკუმენტი ხელმისაწვდომი უნდა იყოს შემმოწმებლისთვის პროექტის განხორციელებისა და მონიტორინგის დროს. ზემოხსენებული დოკუმენტაცია არ გასაჯაროვდება, თუ მასში არ შედის კანონითა და საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული დარღვევები. პირდაპირი ბენეფიციარი აწარმოებს და წარმოადგენს რეგულარულ საბუღალტრო ანგარიშგებას, ახორციელებს ყველა საგადასახადო მოთხოვნას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. აღნიშნული დოკუმენტაცია ხელმისაწვდომი იქნება მონიტორინგის გუნდისათვის 3 წლის განმავლობაში. პროგრამის ფარგლებში მხარდაჭერილი პროექტები უნდა დარჩეს მოქმედი და ემსახურებოდეს დასახულ მიზნებს განმცხადებლის მიერ შეთანხმებული პერიოდის განმავლობაში. პირდაპირი ბენეფიციარები უნდა შეესაბამებოდნენ ევროკავშირის ENPARD-ის მიზნებსა და პრიორიტეტებს და მათ უნდა უზრუნველყონ ევროკავშირის დაფინანსების ხილვადობა გამოცდილების გაზიარების მიზნით, ხელმოწერის დღიდან მომდევნო სამი წლის განმავლობაში, CENN-სა და ქედის LAG-ის თხოვნის საფუძველზე, ბენეფიციარმა უნდა უზრუნველყოს საგრანტო პროექტის ჩვენება ყველა დაინტერესებული მხარისთვის.